სპორტიელი

სპორტული გაზეთი. პარასკევი 17 სექტემბერი 2005 №213 (2536) ფასი 50 თეთრი

კოკოითი უეფას თასზე გავიდა

„მიდტიულანდი“ მოკრძალებული დანიური გუნდია, რომელსაც უეფას თასის მფლობელმა მოსკოვის ცსკა-მ ამ თასის ახალი გათამაშების პირველ შეხვედრაში შინ 3:1 მოუგო. მონაცემების აწონ-დაწონვა გვაფიქრებინებს, რომ რუსი სამხედროების გუნდი საბოლოოდ სძლევს მოწინააღმდეგეს, მაგრამ ერთი კი სათქმელია: მოსკოველებმა პირველ ტაიმში ანგარიში რომ გახსნეს, პასუხი მყისვე მიიღეს და შემდეგ, უპირატესობის ხელმეორედ მოსაპოვებლად, 76-ე წუთამდე იომეს. მუნდირის ღირსება ორჯერ კარვალიუმ დაიცვა.

ხოლო ცსკა-ს მწვრთნელს, ვალერი გიორგიევიჩ გაზაევს დიდი პატივი ხვდა წილად, მისი სახელი ცხინვალის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა. ეს ამბავი სამხრეთ ოსეთის შეფებმა თავიანთი დამოუკიდებლობის 15 წლისთავს მიუძღვნეს და ვინ იცის, ამით პასუხი გასცეს თბილისში ჯორჯ ბუშ-უმცროსის ქუჩის დაბადებას. ამბობენ, რომ გაზაევის ქუჩის გახსნაზე, 19 სექტემბერს, ცხინვალის სტადიონზე ერთმანეთის პირისპირ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთების ნაკრებები წარდგებიან.

იმავე ჯადოსნურ 76-ე წუთზე გატანილი გოლით გაიმარჯვა მოსკოვის კიდევ ერთმა გუნდმა, მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივმა“, რომელიც ნორვეგიაში მანამდე „ბრანთან“ ვერ იგებდა, ანგარიში 1:1 იყო. სამწუხაროდ, ასათიანს არ გაუტანია.

ხოლო სამარის „კრილია სოვეტოვმა“ ის თავისი საბჭოეთის ფრთები გაშალა და ჰოლანდიურ „ალკმაარს“ 5:3 აჯობა. ჩვენთვის მთავარია, რომ ჰოლანდიელთა მესამე გოლი შოთა არველაძემ შეაგდო.

სეტუბალი — სამპდორია 1:1. გენუელი ანდრეა გასბარონი მასპინძლებმა ბურთს არ მიაკარეს

AFP სტუბალიდან

თამაში არ გაგვიყიდია

ინტერვიუ დავით კვირკველიასთან

9



ბუთხია-ბუნების სასწაული

13

ქართველებს ერთი, ესტონური ნაბიჯი დარჩათ

ირაკლი ჩირიკაშვილის გოლმა და სლოვენიასთან 1:1-მა კობა ფორჩიკაშვილის გუნდი ევროპის კარს მიაყენა

ალბერ ბოლკვადაძის ფოტო

უეფას თასი 2005-2006

პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

ოსერი (საფრანგეთი)	2:1	ლევსკი (ბულგარეთი)
ჰამბურგი (გერმანია)	1:1	კოპენჰაგენი (დანია)
სლავია (ჩეხეთი)	2:0	კორკი (ირლანდია)
ჰაპოელ (საბერძნეთი)	1:1	მეტალურგი (უკრაინა)
დინამო (რუმინეთი)	5:1	ევერტონი (ინგლისი)
გრასჰოპერი (შვეიცარია)	1:1	მიუჰა (ფინეთი)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)	0:0	ბრაგა (პორტუგალია)
ბეერსხოტი (ბელგია)	0:0	მარსელი (საფრანგეთი)
ლევერკუზენი (გერმანია)	0:1	ცსკა (ბულგარეთი)
ცსკა (რუსეთი)	3:1	მიდტიულანდი (დანია)
სეტუბალი (პორტუგალია)	1:1	სამპდორია (იტალია)
სევილია (ესპანეთი)	0:0	მაინცი (გერმანია)
ბაზელი (შვეიცარია)	5:0	შიროკი ბრიეგი (ბოსნია)
ფეიენოორდი (ჰოლანდია)	1:1	რაპიდი (ავსტრია)
ჰიბერნიანი (შოტლანდია)	0:0	დნიპრო (უკრაინა)
რენი (საფრანგეთი)	3:1	ოსასუნა (ესპანეთი)
გიმარაეში (პორტუგალია)	3:0	ვისლა (პოლონეთი)
პრილია (რუსეთი)	5:3	ალკმაარი (ჰოლანდია)
შტუტგარტი (გერმანია)	2:0	დომჟალე (სლოვენია)
ვოლერენგა (ნორვეგია)	0:3	სტიაუა (რუმინეთი)
გრაცერი (ავსტრია)	0:2	სტრასბური (ჰოლანდია)
ბრანი (ნორვეგია)	1:2	ლოკომოტივი (რუსეთი)
პალერმო (იტალია)	2:1	ანართოსისი (კვიპროსი)
ჰალმშტადი (შვედეთი)	1:2	სპორტინგი (პორტუგალია)
მიდლსბრო (ინგლისი)	2:0	ქსანთი (საბერძნეთი)
მაკაბი (ისრაელი)	0:2	პარტიზანი (სერბეთი)
რომა (იტალია)	5:1	არისი (საბერძნეთი)
ბეშიქთაში (თურქეთი)	0:1	მალმიო (შვედეთი)
ლიტექსი (ბულგარეთი)	2:2	გენკი (ბელგია)
ბანიკი (ჩეხეთი)	2:0	ჰერენვენი (ჰოლანდია)
აპოელი (კვიპროსი)	0:1	ჰერტა (გერმანია)
ტეპლიცე (ჩეხეთი)	1:1	ესპანიოლი (ესპანეთი)
მონაკო (საფრანგეთი)	2:0	ტილბურგი (ჰოლანდია)
ვიკინგი (ნორვეგია)	1:0	აუსტრია (ავსტრია)
ბრონდბიუ (დანია)	2:0	ციურიხი (შვეიცარია)
ლანსი (საფრანგეთი)	1:1	გროცლინი (პოლონეთი)
ტრომსიო (ნორვეგია)	1:0	გალათასარაი (თურქეთი)
ბოლტონი (ინგლისი)	2:1	ლოკომოტივი (ბულგარეთი)
შახტარი (უკრაინა)	4:1	დებრეცენი (უნგრეთი)
ზენიტი (რუსეთი)	0:0	აეკ (საბერძნეთი)



AFP-ის ფოტო

მაკაბი — პარტიზანი 0:2. ბელგრადელი სტეფან ბარბოვიჩი სტანისლავ დობროვინსა და კომპანიაზე მაღლა ახტა

ესტონური ნაბიჯის ჯერი

ქართველი 19-წლამდელები ევროპის ჩემპიონატზე



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ამ სტადიონზე ჭულაც ჰყოფნის

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ესტონეთში მიმდინარე ევროჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი ეტაპის მეორე ტურში ვეღარ მოიგო, მაგრამ საგანგაშო არაფერი აქვს — ჯგუფიდან გასვლამდე ნაბიჯიღა რჩება.

კობა ჟორჟიკაშვილის ბიჭებმა ტალინის „კადრიორგზე" სლოვენიელ თანატოლებთან 1:1 ითამაშეს. მატჩი წვიმაში მიმდინარეობდა, უკვე მე-18 წუთზე თბილისის „დინამო 2"-ის ნახევარმცველმა ირაკლი ჩირიკაშვილმა საჯარიმო დარტყმით დააწინაურა ქართველები, თუმც 46-ე წუთზე სლოვენიელმა გორაზდ ზაიჩმა გაათანაბრა. მთლიანობაში თამაშს თანაბარი კი ეთქმოდა, მაგრამ მცირე უპირატესობა ჩვენებისა იყო.

ჟორჟიკაშვილმა სლოვენიასთან ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *რეკიშვილი, ელბაქიძე, ხიდეშელი, გვაძაბია, მჭედლიშვილი (თომაშვილი), მახარაძე, ბჟალავა, განუგრავა, ჩირიკაშვილი, წინამძღვრიშვილი (ლაფერაშვილი), გოცირიძე (ხოხონიშვილი).*

ხვალ მესამე ტურია, ქართველები მასპინძელ ესტონეთს ხვდებიან ტალინის „ლე კოქის" სტადიონზე, რომელიც მათი ეროვნული ნაკრების საშინაო სარბიელია... ჩვენიანებს ფრეც ჰყოფნით მეორე ეტაპზე გასასვლელად, მაგრამ პროგრამა მაქსიმუმი პირველი ადგილის დაკავებაა — ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ქართველები უფრო შედეგიანად ითამაშებენ, ვიდრე სლოვენიელები ლიტველებთან.

ილია ნანოგაშვილი

ესტონეთი 0:1 ლიტვა

სლოვენია	2	1	1	0	5:3	4
საქართველო	2	1	1	0	4:2	4
ლიტვა	2	1	0	1	2:3	3
ესტონეთი	2	0	0	2	2:5	0

ბორჯომის ბორჯომელობა ოქტომბრიდან დაიწყება

რა აკლია ფრუიძის გუნდს?



გადრი კეთილაძის ფოტო

აქამდე უმაღლეს ლიგაში ბორჯომს გუნდი არასდროს ჰყოლია, ახლა კი „ბორჯომი" უმაღლეს ლიგაში ხუთი ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა, ხოლო აქტიურ საფეხბურთო ცხოვრებას ბორჯომი ოქტომბრიდან შეუდგება.

აგვისტოში ბორჯომის სტადიონზე მიხეილ სააკაშვილის და ვიქტორ იუშჩენკოს ვერტმფრენი დაეშვა, მაგრამ მინდორი იქ ჯერაც არაა — სადაცაა, ბორჯომელები მოედანზე ხელოვნურ საფარს დააგებენ, რომელიც სავარჯიშოდ და სათამაშოდ მზად ოქტომბერში უნდა იყოს...

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა *სოსო ფრუიძემ* გვითხრა, რომ საფარი მაღალი ხარისხის, ბოლო თაობის იქნება, ხოლო ტრიბუნა ოთხიათასამდე მაყურებელს დაიტევს. „ბორჯომს" ბაზა ჯერ არ აქვს და გუნდი რომელიმე სანატორიუმში დაბანაკდება შეკრებებისას — ასეთნაირად მოიწყობს ცხოვრებას „ბორჯომი".

წინა სეზონში „ბორჯომი" პირველი ლიგაში გამოდიოდა და იქ მოპოვებული მეორე ადგილით გადავიდა უმაღლესში. მაშინ „ბორჯომი" გორში, „ქართლის" სტადიონზე ატარებდა საშინაო მატჩებს, ახლა კი თბილისურ „ოლიმპზე" მასპინძლობს მეტოქეებს.

გუნდის პატრონი და დამფინანსებელი ბორჯომის გამგეობაა, თუმც კლუბს კომპანია „ბორჯომიც" ეხმარება, რომელიც წინა სეზონში თბილისის „დინამოს" სპონსორი იყო — ბორჯომელებს საკმაოდ მყარი და სტაბილური ფინანსური ზურგი აქვთ და საამსეზონოდ გუნდის მიზანი ხუთეულში მოხვედრაა.

— მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში ექვსი გუნდია, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა რომ შეუძლია. ახლა მეორე ადგილზე ვართ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარია, ეს პოზიცია მყარად შევინარჩუნოთ, მიზანი კი ხუთეულში მოხვედრაა. ჩემპიონატის საუკეთესო გუნდად „დინამო" მიმაჩნია, ისე კი, საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ „ლოკომოტივი", „ამერი", „სიონი" და „ზესტაფონი". ვფიქრობ, „დინამო" მოთამაშეთა უკეთესი სელექციით აღემატება კონკურენტებს, რის საშუალებასაც მას სხვაზე უკეთესი პირობები აძლევს — გვითხრა ფრუიძემ.

საუმაღლესლიგოდ „ბორჯომი" მნიშვნელოვნად გაძლიერდა — ქუთაისის „ტორპედოდან" დავით ბაქრაძე, გიორგი მემარნიშვილი და რევაზ ჯიქია დაიმატა; თბილისის „დინამოდან" ლაშა ჭელიძე; „თბილისიდან" შოთა ჯიქია, ბესო მიქიაშვილი, მიხეილ მესხი, რევაზ გეწაძე და თორნიკე აფციაური; ფრუიძის გუნდს შეუერთდა კვიპროსიდან დაბრუნებული ფორვარდი გიორგი ქორიძე, ვინც ახლა ხუთი გატანილი გოლით ლიდერობს ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას...

მაგრამ სად არიან ბორჯომელები „ბორჯომში"? საამსეზონოდ მშობლიური ქალაქის გუნდში ჩაირიცხა საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი, ექსვიტჯორჯიელი ვლადიმერ გოჩაშვილი, ვინც ახლა ტრავმირებულია. ბორჯომის მკვიდრთაგან გუნდში კიდევ ორი ფეხბურთელია, თუმც თამაზ ნასყიდაშვილი და დავით გოგიჩაიშვილი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებად ამ ეტაპზე ჯერ არ ითვლებიან. მაგრამ „ბორჯომი" ბორჯომელებს რეგიონულ ლიგაშიც აწრთობს პირველი გუნდისთვის — „ბორჯომი 2" მთლიანად ადგილობრივი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და საშინაო მატჩებს ხაშურში მართავს.

მაშ, კიდევ რა სჭირდება „ბორჯომს" საიმისოდ, რომ ხუთეულში გამყარებაზე უფრო მაღალი მიზნისთვის იბრძოლოს? ბორჯომელთა თავკაცი ფრუიძე ამაზე ასე პასუხობს: „პირველი წრის ბოლოს გამოჩნდება, რა აკლია „ბორჯომს".

დავით თავართქილაძე

ვლადიკავკაზის „ალანიას“ იმ ქართველი ფეხბურთელების საქმე, რომლებიც კლუბმა ორი კვირის წინ მოულოდნელად ტრანსფერზე დააყენა, ძველებურადაა, ანუ **დავით კვირკველია**, ლადო ბურდული, გიორგი შაშიაშვილი, ვიტალი დარასელია, ჯაბა კანკავა და ლევან გვაზავა „ალანიას“ დუბლებში ვარჯიშობენ და არ თამაშობენ. ოსების ებრაელი თავკაცი იცხაკ შუმი გიორგი დემეტრაძის გარდა არც ერთ ქართველს მთავარ გუნდს არ აკარებს, თამაშზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს...

დავით კვირკველია: თამაში არ გაგვიყიდია!

ალანიამ ქართველებს დუბლებიც აუკრძალა

— არაფერი შეცვლილა, ქართველები ისევ დუბლებთან ერთად ვვარჯიშობთ, თამაშის უფლებას კლუბი არ გვაძლევს. ორიოდ დღის წინ გვსურდა „ალანიას“ ხელმძღვანელობასთან საქმის საბოლოოდ გარკვევა, მაგრამ არც პრეზიდენტმა, არც მწვრთნელმა ჩვენთან შეხვედრა არ ისურვეს — გვითხრა გუშინ დავით კვირკველიამ — არ ვიცი, ხვალ და ზეგ რა იქნება, თუმც შესაძლოა, 21 სექტემბერს ჩიტაში, „ლოკომოტივთან“ სათასო მატჩში მაინც გვათამაშონ. ამ შეხვედრისთვის „ალანია“ დუბლებით ემზადება და ყურმოკვრით გავიგე, რომ კლუბის უფროსობამ შეიძლება „ლოკომოტივთან“ თამაშის საშუალება მოგვცეს. არადა, როცა ტრანსფერზე დაგვაყენეს, გვითხრეს, დუბლებში იქნებით და სათამაშო პრაქტიკა არ მოგაკლდებათო, მოგვიანებით კი ესეც აგვიკრძალეს.

— შეგიძლია გვითხრა, მწვრთნელმა ქართველები რატომ აგითვალწუნათ?

— ეგ რომ ვიცოდეთ... ისე, ძნელი მისახვედრი არ არის, შუმმა რატომაც დაგვაქვეითა: მწვრთნელმა გუნდში თავისი ფეხბურთელები მოიყვანა, თანაც ყველა ისეთი, რომლებიც ჩვენს პოზიციებზე თამაშობენ და ახლა ყველანაირად ცდილობს მათი შესაძლებლობების წარმოჩენას, რაც ჯერჯერობით არ გამოსდის — ისინი დაბალი დონის ფეხბურთელები არიან.

— და ქართველებს ახლა რა პერსპექტივა გაქვთ? რას ფიქრობთ?

— არც ვიცი, რა გიპასუხოთ. ვლადიკავკაზში ვართ და დუბლებთან ერთად ვვარჯიშობთ. სატრანსფერო სეზონი ყველგან დახურულია და ვერც სხვა გუნდში გადავალთ. ალბათ რუსეთის ჩემპიონატის ბოლომდე ასე გაგრძელდება, მერე კი აქაურობას გავეცლებით. ყველაზე ცუდი ისაა, რომ კლუბმა ტრანსფერზე 31 აგვისტოს დაგვაყენა, მაშინ, როცა ტრანსფერების დახურვამდე რამდენიმე საათი იყო დარჩენილი. „ალანიამ“ ამით ყველანაირად შეგვზღუდა.

— კი მაგრამ, ადრე რატომ არ გამოგიცხადეს, „ალანიას“ აღარ სჭირდებითო?

— სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ გუნდს მაინც ვჭირდებით და უფროსობას ჩვენი გაყიდვა არ სურს. სხვანაირად რომ ყოფილიყო, ტრანსფერზე დაყენების ამბავი მართლაც ადრე უნდა ეთქვათ.

— იქნებ ასე შეგნებულად გაგაკეთეს?

— არა მგონია. რასაც ვფიქრობთ, უკვე გითხარით, შუმმა თავისი ფეხბურთელები მოიყვანა და მათ აძლევს თავის გამოჩენის საშუალებას.

— სწორედ მწვრთნელს უთქვამს, ქართველები ვარჯიშის ნორმალურად ჩატარებაში ხელს მიშლიდნენ, უდისციპლინოდ იქცეოდნენო...

— სისულელეა, ვარჯიშებზე ყველაზე მონდომებულები სწორედ ჩვენ ვიყავით, ყველაზე მეტს ჩვენ დავრბოდით და მწვრთნელის მითითებებს უსიტყვოდ ვასრულებდით. შუმს რომ ჰკითხოთ, იმასაც იტყვის, ქართველებმა მოსკოვის „სპარტაკთან“ თამაში გაყიდესო, რაც აბსურდია. „სპარტაკი“ „ალანიაზე“ ათი თავით მაღალი დონის გუნდია და რომ წავაგეთ, გასაკვირი არავისთვის ყოფილა.

— სწორედ „სპარტაკთან“ მატჩის მერე გამოაცხადეს ტრანსფერზე თქვენი დაყენების ამბავი...

— დიახ, მოსკოვიდან ვლადიკავკაზში დავბრუნდით, მეორე დღეს კლუბის პრეზიდენტმა ხუთწუთიანი კრება გამართა, ქართველების გვარები ჩამოთვალა და გვითხრა, დღეიდან ტრანსფერზე ხართ, ძირითად გუნდში აღარ ითამაშებთო.

— მიზეზი არ უთქვამს?

— სხვა არაფერი უთქვამს, ჩვენი გვარები ჩამოთვალა და სულ ეგ იყო. კრება ხუთ წუთში დამთავრდა, ფეხბურთელები გაკვირვებულნი დარჩნენ.

— მწვრთნელთან არ გისაუბრიათ?

— მწვრთნელი იმ კრებას არც ესწრებოდა. მერე კი დავაპირეთ მასთან შეხვედრა, მაგრამ თავად არ ისურვა, უცნაური ხასიათი აქვს.

— ამბობენ, რომ „ალანიას“ თბილისის „დინამოსთვის“ ოთხი ფეხბურთელის სატრანსფერო თანხა არ გადაუხდია და ტრანსფერზე თქვენი დაყენების ერთ-ერთი მიზეზი ესეც არისო. ასეა?

— ეგ მეც გავიგე. მითხრეს, „ალანიას“ ჩვენ სანაცვლოდ „დინამოსთვის“ სატრანსფერო თანხა ბოლომდე დღემდე არ გადაუხდია, თუმც ეს ამბავი ნაღდია თუ არა, ვერ გეტყვით.

— ისიც ითქვა, კვირკველია და ბურდული შესაძლოა „დინამოში“ დაბრუნდნენო...

— არ ვიცი, რა როგორ იქნება. ასეთი ვარიანტი მართლაც იყო, მაგრამ... უფრო მგონია, რომ ორი თვეც „ალანიაში“ დავრჩებით, ან ვითამაშებთ, ან არა. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი ჩვენს გზას ვნახავთ.

ძოგა ინასარიძე

კუტარბას თავი: ვირის წიხლის ზაპოროჟიული ვარიანტი

ლაშა ჯაკობია ბეწვზე გადარჩა

მშვენიერ ფორმაში მყოფ ლაშა ჯაკობიაზე ბოლოხანს ბევრი იწერება. თავად უკრაინელებიც აღიარებენ, რომ ქართველი თავდამსხმელი ხარკოვის „მეტალისტის“ ლიდერი და უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია.

ჯაკობიამ ახალდაწყებულ ჩემპიონატში ჩატარებულ რვა მატჩში ხუთი გოლი გაიტანა, რომელთაგან ბოლო ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ წინა ტურში შეუგდო, თუმცა ამ მატჩმა ჩვენი ყურადღება სხვა მხრივაც მიიქცია. კერძოდ, ზაპოროჟიელმა გერმან კუტარბამ შელაპარაკებისას ჩვენიანს სახეში თავი აძგერა. ჯაკობია მძიმე ტრავმას ბეწვზე გადაურჩა და იმ ინციდენტს ასე იხსენებს...

— განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ფეხბურთში ასეთები ბევრჯერ ყოფილა და ალბათ მომავალშიც იქნება. ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ფეხბურთელებს ნერვებმა უმტყუნათ და უხეშობა დაიწყეს, თუმცა მათი ქცევების შეფასებას არ ვაპირებ.

— რა მოხდა იმ ეპიზოდში, როცა ზაპოროჟიელი გერმან კუტარბა გააძევეს?

— იგი ჩემს თანაგუნდელ მილიან მრდაკოვიჩს მიუახლოვდა და მოულოდნელად ხელი ჰკრა. ვიფიქრე, მივალ და ავუხსნი, რომ ასეთი უხეშობა საჭირო არ არის-მეთქი, მაგრამ მან არც მე დამინდო და სახეში თავი დამარტყა. მსაჯმა კუტარბა გაძევა და ვფიქრობ, სწორადაც მოიქცა.

— რატომ უხეშობდნენ ზაპოროჟიელები ასე განსაკუთრებულად?

— ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ მათ მოგების შანსი თავიდანვე შეკუმცირეთ და ამის გამო ნერვებს აჰყვნენ. კარგია, რომ ჩვენც უხეშობით არ ვუპასუხეთ და თამაშით ვაჩვენეთ, ვინ ვინ არის.

ჯიქია ლოძში ჩაქვეითდა



პლოცკის „ვისლადან“ წასული ქართველი ნახევარმცველი მამია ჯიქია რანგით დაბალ, მეორე ლიგის „ლოძში“ ჩაირიცხა და უკვე ერთი მატჩის ჩატარებაც მოასწრო — „კუუკვიაკთან“ შეხვედრაში (0:0) სრულად ითამაშა.

შეგახსენებთ, რომ ჯიქია „ვისლაში“ შარშან მივიდა, თუმცა მთავარ მწვრთნელთან უთანხმოების გამო გუნდის გამოცვლა მოუხდა და, როგორც გითხარით, „ლოძს“ მოურიგდა.

ერთ დროს პოლონეთის საფეხბურთო ელიტის წევრი „ლოძი“ ახლა ღრმა კრიზისშია — მეორე ლიგაში ერთადერთი მოგება აქვს და მეათე ადგილზეა.

სხვათა შორის, ეს გუნდი ჯიქიასთვის მეოთხეა პოლონურ კარიერაში — „ლოძის“ და „ვისლას“ გარდა ჩვენებურს ხოჟუვის „რუხში“ და ვრონკის „ამიკაში“ უთამაშია.

ძახა შალამბერიძე

საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელი“
აცხადებს 1989,90,91,92,93,94, 95,96,97,98,99 წლებში
დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას.
მიღება ყოველდღე, დილის 10 საათიდან.
მისამართი: მაიაკოვსკის 4ა, მუშტაიდის ბაღის
საბავშვო რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია.
ტელეფონი: 34-07-91, 35-25-99

22 წლის კახა ალადაშვილმა „დინამოსთან“ ერთად გუშინწინ მეორე ტიტული მოიგო — წინა სეზონში მოპოვებულ ქვეყნის ჩემპიონობას სუპერთასი მიამატა. „დინამომ“ მიხეილ ბობოხიძის ერთადერთი გოლით „ლოკომოტივი“ დაამარცხა.

ბუნებრივია, ტიტული ტიტულია და, კახა ალადაშვილი „ვიტ ჯორჯიასთან“ საკვირაო მატჩამდე, ისევე როგორც მთელი „დინამო“, სუპერთასით ტკბება.

კახას გუშინ გავესაუბრეთ...

დინამოდან იანვარში წავალ

კახამ კახას ადგილი აპოვნინა

— ცხადია, გახარებულები ვართ. სუპერთასის მოგება თამაშის შემდეგ რესტორანშიც აღვნიშნეთ.

— თავად მატჩზე რას იტყვი...

— თამაში სანახობრივად მიმზიდველი არ იყო, თუმცა დაძაბულობა ნამდვილად არ აკლდა. თავიდანვე იგრძნობოდა, მატჩის ბედს ერთი გოლი გადაწყვეტდა და მიხარია, ის ერთადერთი გოლი ჩვენ რომ შევაგდეთ. „ლოკომოტივი“ კი მართლა მომეწონა, მობილური, კარგი გუნდია.

— სუპერთასი მოიგეთ, მაგრამ ჩემპიონატში „დინამო“ დამაჯერებლად ვერ თამაშობს და ეს რისი ბრალია?

— „ლოკომოტივამდე“ „ცხინვალს“ მოვუგეთ, თუმც მანამდე „ზესტაფონთან“ წავაგეთ და „ამერთან“ ფრედ ვითამაშეთ. იმ ორ შეხვედრაში დაკარგულმა ქულებმა ფსიქოლოგიურად აგვრია და ეს მოგებებიც სწორედ ამიტომ იყო საჭირო. ვფიქრობ, ახლა ყველაფერი კარგადაა და ჩვენსას „ვიტ ჯორჯიასთანაც“ დავამტკიცებთ.

— „დინამო“ ყოველთვის ეროვნული ჩემპიონატის ფავორიტი იქნება. წლეულს ვის მიიჩნევთ კონკურენტად?

— კონკრეტულად ერთს ვერ გამოვარჩევ — ექვსი-შვიდი გუნდი თანაბარი დონისაა.

— ანუ თვლი, რომ ჩემპიონები უპრობლემოდ გახდებით?

— არა, მაგას არ ვამბობ. ჯერ სულ რაღაც ხუთი ტურია გასული. მე შემადგენლობას და გუნდის პოტენციალს ვგულისხმობ — „დინამო“ დანარჩენებზე ერთი თავით მაღლა დგას.

— ადრე ნახევარმცველი იყავი, ახლა კი მცველი ხარ. ამპლუის შეცვლამ რაიმე თუ შეგმატა?

— თავდაჯერებულობა. რა თქმა უნდა, ნახევარდაცვაშიც შემიძლია თამაში, მაგრამ ბოლო ხანებში ჩემი საქმე, ასე ვთქვათ, ძალიან შემიყვარდა. ახლა მცველი ვარ და პასუხისმგებლობაც ერთიორად მომემატა. მოკლედ, მინდა, კახა ცხადაძეს მადლობა გადავუხადო — პირველად მცველად მან გამამწესა და რომ ვუმართლებ, ძალიან მხიამოვნებს.

— ზაფხულში „დინამოდან“ შენ წასვლაზე ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, ყველაზე დიდ დაინტერესებას „როსტოვი“ ამჟღავნებდა...

— „როსტოვი“ საბოლოოდ გამოირიცხა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უცხოეთში აღარ წავალ. გადაწყვეტილება მივიღე და ეს „დინამოს“ უფროსობამაც იცის — „დინამოს“ პირველი წრის შემდეგ, იანვარში დავტოვებ.

— რომელ კლუბში აპირებ გადასვლას?

— კონკრეტულად ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, თუმცა ჩემი მენეჯერი რუსულ და ევროპულ გუნდებზე მუშაობს. ზამთარში ყველაფერს გაიგებთ.

გიორგი ვაშაკიძე

ომი და რვა მცველი



შოთა არველაძის „ალკმარმა“ უეფას თასის პირველი რაუნდის პირველ მატჩში რუსულ „კრილია სოვეტოვთან“ 3:5 წააგო. რა მოხდა სამარაში? როგორ წააგო ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერმა რუსულ პრემიერლიგაში არგავარდნისთვის მებრძოლ გუნდთან ასეთი ანგარიშით?

არველაძის განმარტებანი ასეთია...

— რამდენჯერაც გადმოვიდნენ სამარელები კონტრშეტევაზე, თითქმის იმდენჯერ გაგვიტანეს — ერთი გოლი კუთხურით შეგვიგდეს, ხოლო მეხუთე ბურთი შორიდან ისეთი გაგვიტანეს, საერთოდ რომ არ გადის.

— გასაგებია, მაგრამ ხუთი გოლის გაშვება ნამეტანია...

— „კრილიამ“ რვა მცველით ითამაშა და შეცვლაზე შემოსულ ომარ თეთრაძესაც ეგ ვუთხარი, ამდენი მცველით მოთამაშე გუნდი აქამდე არ მინახავს-მეთქი. ჩვენ კი შემტევი ტაქტიკა ავირჩიეთ და ისიცაა, რომ სამარელებმა ძალიან მაგრად ითამაშეს.

— გოლი როგორ შეაგდე?

— მარჯვენიდან შევედი მეტოქის საჯარიმოში, ერთი მცველი მოვატყუე, მახვილი კუთხიდან დავარტყი და რიკოშეტით ბურთი კარში შევარდა — გოლი მე ჩამითვალეს. ერთი საგოლე პასიც გავაკეთე, როცა „კრილიას“ მეორე გოლი გავუტანეთ.

დავით თავართქილაძე

ზესტაფონი — 25

ხასხასა მინდორი სპარტაკთან მოინათლება

ზესტაფონის ცენტრალური სტადიონის მინდორი 25 სექტემბრისთვის მზად იქნება. ამ დღეს ფეროელები საქართველოს ჩემპიონატის მეშვიდე ტურში თბილისის „სპარტაკს“ მასპინძლობენ.



დავით აბაშიძე

კლუბის გენერალურმა მდივანმა დავით აბაშიძემ გვითხრა, ახალი საფარი იდეალურ მდგომარეობაშია და ტრიბუნები რომ მწყობრში გვქონდეს, „სპარტაკთან“ თამაშის წინ საზეიმო ვითარებაში გავხსნიდით სტადიონსო.

რაც შეეხება ზესტაფონის მეორე, ხელოვნურსაფარიან მოედანს, იქ ოქტომბრის შუიდან იქნება თამაში შესაძლებელი. ეს მოედანი „ზესტაფონი 2“-ისა და ბავშვთა გუნდების საშინაო სარბიელი იქნება.

ჯაბა კანკავას „ზესტაფონში“ შესაძლო გადასვლაზე კი დავით აბაშიძემ ვერაფერი გვითხრა, მისი დამატების დიდი სურვილი გვაქვს, მაგრამ რეალური ჯერ არაფერიაო.

ბოლოს იმასაც გაცნობებთ, რომ „ბორჯომი“ — „ზესტაფონის“ მეექვსე ტურის მატჩი 16 სექტემბრის ნაცვლად 20 სექტემბერს გაიმართება. მიზეზს მიხვდებოდით: იმერელთა ხუთი ფეხბურთელი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ახლავს ესტონეთში.

როგორც იცით, ამავე მიზეზით ზესტაფონელებმა წინა ტურის შეხვედრაც („ვიტ ჯორჯიასთან“) გამოტოვეს.

ილია ნანობაშვილი

თვალი თვალი

ბიჭუნას ფიქრები, ფეხბურთელი ვიქნები...

ფიქრი მართლაც ყველგანაა შესაძლებელი, „შევარდენის“ სტადიონის მავთულღობეზეც კი, როცა „სოხუმი“ — „სიონის“ მატჩს უყურებ. კარგია, როცა ბავშვები საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატსაც უყურებენ, ხანდახან ისიც ჩაგაფიქრებს.

რატომ უნდა გავყიდოთ ტრეზეგე?



დავიდ ტრეზეგემ „იუვეს“ რიგებში მეასედ გაიტანა

გუშინ „ბრიუგესთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში დავიდ ტრეზეგემ მეასე გოლი იზეიმა „ბიანკონერის“ მაისურით, თავისი მეასე მან თანაგუნდელის, ექსტორინოელ ფედერიკო ბალძარეტის ახლადშეძენილ ქალიშვილს მიუძღვნა: „მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ყველა ჩემს თანაგუნდელს, რომლებთან ერთადაც ამ ექვსი წლის განმავლობაში ვითამაშე. იმ ხალხს, რომლებიც გაჭირვების ჟამსაც გვერდში მედგა (იგულისხმება ტრავმები). ჩემი ასი გოლი ყველა ამ ადამიანის დამსახურებაა. მინდა, აღვნიშნო, რომ გუშინ ფედერიკო ბალძარეტი მამა გახდა და ამ წარმატებას ჩვენ ყველანი მის გოგონას ვუძღვნით“.

თავად მამა ბრიუგესთან თამაშს ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალყურს. მიზეზი სამშობიაროში გატარებული უძილო ღამე იყო, ტურინელებმა, როგორც სჩანს, ჩათვალეს, რომ ბალძარეტის ეყო, რაც გადაიტანა და თანაგუნდელისთვის ნერვიულობის საბაბი აღარ მიუციათ.

სავარაუდოდ ტრეზეგეს ტურინი ზაფხულში უნდა დაეტოვებინა, მაგრამ „იუვეს“ ისტორიაში მეცამეტე ყველაზე ნაყოფიერი ფეხბურთელი მაინც დარჩა და ახლა ახალ რეკორდებს უმიზნებს:

„ახლა, როცა უკვე ასი გოლი გავიტანე, ჩემი მიზანია, მიშელ პლატინის შედეგი (104 გოლი) გავაუმჯობესო და დიდი კლუბის ისტორიის ნაწილად ვიქცე — თქვა ტრეზეგემ და „ბიანკონერის“ შემადგენლობაში გატანილი ყველაზე დასამახსოვრებელი გოლები გამოყო:

„ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი, ალბათ შარშან გავიტანე „მილანის“ კარში. ამ გოლმა ფაქტობრივად სკუდეტო მოგვიტანა. თუმც ყველაზე დაუვიწყარი იყო მადრიდის „რეალის“ კარში გატანილი გოლი 2003 წლის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. ეს გოლი ხომ მძიმეტრავმამოშუშებულმა შევაგდე“.

პირველი გოლი ბრიუგესთან მატჩში პაველ ნედვედმა გაიტანა, რომელმაც თანაგუნდელის ღირსშესანიშნავი რეკორდის დამყარება მიულოცა და შეაქო:

„ჩვენ უამრავი მომენტი შევქმენით, განსაკუთრებით პირველ ნახევარში კმაყოფილი ვარ წარმოდგენით, რომელიც მაყურებელს შევთავაზეთ. ძალიან მნიშვნელოვანია კარგი სტარტი. ამის გაკეთება ადვილი სულაც არ ყოფილია. მით უმეტეს, რომ პირადად მე მაქვს ბელგიელთა წინააღმდეგ თამაშის გამოცდილება და პრობლემებიც შემქმნია. რაც შეეხება ტრეზეგეს, ის ფორვარდთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებსაც ნახევარი შანსიც კი ჰყოფნით და მე დარწმუნებული ვარ, რომ დავიდი კიდევ ასი გოლის გატანას შეძლებს „იუვენტუსის“ რიგებში“.

ამ საზეიმო ვითარებაში ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს გავრცელებული ჭორი ტრეზეგეს შესაძლო გაყიდვის შესახებ.

„ტრეზეგემ მეასე გოლი გაიტანა „იუვეს“ შემადგენლობაში. ვფიქრობ, ეს საკმარისი ახსნაა იმისა, თუ რატომ გამეცინა, როცა გავიგე, რომ თურმე ჩვენ მის გაყიდვას ვაპირებთ — განაცხადა ტურინელთა გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ — „დავიდს გოლი სისხლში აქვს და ფეხის წვერებზე აკერია. ის სულით ჩემპიონია და ჩვენს გუნდში თამაშობს. ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ იმისას, რომ მას შეველიოთ. საერთოდ მიმაჩნია, რომ ამ თემაზე საუბარი სისულელეა“.

ერთი ფეხბურთელი კი, რომელიც „იუვემ“ ამ ზაფხულს გაყიდა, ფაბრიციო მიკოლია. იტალიის ნაკრების მოთამაშე გუშინწინდელ საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაში „ბენფიკას“ ლილის დამარცხებაში დაეხმარა.

„მიხარია მისი წარმატებები — აგრძელებს მოჯი — ჩვენ ყოველთვის გვქონდა მიკოლის იმედი და გვჯერა, რომ ის ბევრს მიაღწევს. არ დაგავიწყდეთ, რომ იგი განათხოვრებულია, მაგრამ თუ ჩვენთან დაბრუნდება, მხოლოდ როგორც ჩამოყალიბებული ვარსკვლავი, ხოლო თუ „ბენფიკაში“ დარჩება, მასში იმაზე მეტი უნდა ავიღოთ, რაც გადავიხადეთ“.

ზურაბ გოცირიძე

იტალია

სერია B. III ტური

პიაჩენცა 1:1 კატანია

1:0 ოლივი (41), 1:1 სპინესი (88)

მოდენა 0:0 მანტოვა

ბრეშა 1:0 კრემონეზე

1:0 დელ ნერო (63)

ალბინოლეფე 2:2 რიმინი

1:0 ბონაცი (33ა), 1:1 რიკიუტი (53), 2:1 ტესტინი (70), 2:2 მოსკარდელი (78)

ატალანტა	3	3	0	0	6:2	9
მანტოვა	3	2	1	0	4:2	7
ბრეშა	3	2	0	1	7:4	6
კროტონე	3	2	0	1	6:3	6
რიმინი	3	1	2	0	7:5	5
მოდენა	3	1	2	0	3:2	5
კატანია	3	1	2	0	3:2	5
ვერონა	3	1	1	1	4:3	4
არეცო	3	1	1	1	2:1	4
ბოლონია	3	1	1	1	3:3	4
ტრიესტინა	3	1	1	1	1:1	4
ტერნანა	3	1	1	1	3:4	4
ვიჩენცა	3	1	1	1	3:4	4
პიაჩენცა	3	1	1	1	4:6	4
ბარი	2	1	0	1	3:2	3
ტორინო	1	1	0	0	1:0	3
კრემონეზე	3	1	0	2	2:3	3
პესკარა	2	0	1	1	3:4	1
ალბინოლეფე	3	0	1	2	2:4	1
კატანძარო	3	0	1	2	3:7	1
აველინო	3	0	1	2	2:6	1
ჩეზენა	3	0	0	3	2:6	0

ინგლისი

ჩემპიონატი. VIII ტური

დერბი 1:1 ქოვენთრი

1:0 ბისგაარდი (14), 1:1 ადებოლა (57)

შეფილდი	8	7	0	1	17:7	21
რედინგი	8	5	2	1	17:6	17
უოტფორდი	8	5	2	1	17:9	17
ლუთონი	8	4	2	2	11:8	14
საუთჰემპტონი	8	3	4	1	10:7	13
სტოკი	8	4	1	3	9:11	13
პრესტონი	8	3	3	2	10:8	12
ვულვზი	8	3	3	2	10:9	12
ქუინზ პარკი	8	3	3	2	7:9	12
დერბი	8	2	5	1	11:9	11
ლიდსი	7	3	2	2	9:7	11
იფსვიჩი	8	3	2	3	8:12	11
კრ. პალასი	7	3	1	3	10:8	10
ჰალი	8	2	3	3	5:6	9
ლესტერი	8	2	3	3	10:12	9
კარდიფი	7	2	2	3	10:12	8
ქოვენთრი	8	1	5	2	8:10	8
ქრიუ	8	1	5	2	10:13	8
ბრაიტონი	8	1	4	3	8:11	7
ბარნსლი	8	1	3	4	13:14	6
ნორვიჩი	8	1	3	4	7:10	6
უენსდი	7	1	3	3	3:6	6
პლიმუთი	8	1	2	5	6:13	5
მილუოლი	8	1	1	6	6:15	4

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XXIV ტური

ტამპერე 2:1 მარიეჰამნი

ტურკუ 3:0 როვანიემი

ჰიკი 2:1 ინტერი

მიუპა	21	14	5	2	40:14	47
ჰიკ	22	12	7	3	38:23	43
ტამპერე	20	11	6	3	30:17	39
ჰაკა	22	9	11	2	36:16	38
ინტერი	20	10	6	4	30:13	36
ლაჰტი	23	10	4	9	35:34	34
ტურკუ	23	8	4	11	27:32	28
ალიანსი	22	6	10	6	27:35	28
კტპ	22	7	6	9	31:38	27
მარიეჰამნი	22	6	5	11	24:31	23
კუოპიო	22	6	4	12	25:40	22
იარო	22	5	6	11	17:26	21
როვანიემი	23	3	7	13	18:45	16
ტპ 47	22	4	3	15	18:32	15

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80



მაკარტი კულულებმა დაღუპეს

„პორტუს“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა კო ადრიანსემ ბენი მაკარტი „რიუ ავესთან“ შემადგენლობაში არ დააყენა. ადრიანსეს განრისხება შეგირდის უცნაურ ვარცხნილობას გამოუწვევია. საქმე ის გახლავთ, რომ „სტადიო დრაგაოს“ კლუბის დამრიგებელმა ამას წინათ დისციპლინარული დარღვევების სია შეადგინა, რომლის მიხედვითაც წესრიგთან მწყრალად მყოფ „პორტუს“ ფეხბურთელებს მკაცრი სასჯელი ეკუთვნოდათ. რატომღაც ადრიანსემ „აფროს“ ტიპის თავისებური ვარცხნილობაც წესრიგის დარღვევად ჩათვალა და სანაკრებო შეკრებიდან ხუჭუჭა კულულებით დაბრუნებულ მაკარტის „რიუ ავესთან“ ჯახი გამოატოვებინეს.

„ეს უსამართლობაა. მწვრთნელი ისე გვექცევა, თითქოს არმიაში ვიყოთ და არა საფეხბურთო გუნდში. მოთამაშესთვის ხომ მთავარი მისი ოსტატობაა და არა ის, რანაირი ვარცხნილობას ატარებს“ — გააპროტესტა მაკარტიმ ადრიაანსეს ყაზარმული წესები „ო ჟოგოსთან“ ინტერვიუში.

ლადო ხომერიკი

ბაჯო ბრუნდება!

ლეგენდარულმა რობერტო ბაჯომ განაცხადა, რომ ბრუნდება, მაგრამ უკვე მწვრთნელის ამპლუაში.

ყოფილ „ოქროს ბურთის“ მფლობელმა აქტიური სპორტს 2004 წლის ზაფხულის შემდეგ ჩამოშორდა, მაგრამ როგორც ჩანს, რობის ფეხბურთის გარეშე ცხოვრება რა შეუძლია:

„ამჟამად ფეხბურთს ჩამოშორებული ვარ, რადგან გადავწყვიტე, კარიერა დამესრულებინა, თუმც მოედანზე დაბრუნების შესაძლებლობას არ გამოვრიცხავ. უკვე მაქვს შემოთავაზებები, რომლებმსაც განვიხილავ როცა დრომ მოვა და გადაწყვეტილებას მივიღებ“.

ბაჯო 1990-იანი წლების იტალიური ფეხბურთის სიმბოლოდ იქცა. „იუვენტუსის“, „მილანსა“ და „ინტერში“ თამაშის დროს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა.

ლეგენდარული 10 ნომერი აცხადებდა, რომ ის ფეხბურთში მხოლოდ კლუბის დირექტორის რანგში თუ დაბრუნდებოდა, ახლა კი წამოსცდა, რომ თურმე იმისთვის ემზადება, რომ თამაშს სარბენი ბილიკებიდან ადევნოს თვალი: „მარკო ვან ბასტენმა სამწვრთნელო კარიერა პირდაპირ ნაკრებიდან დაიწყო. იტალიაში განსხვავებული სიტუაციაა. მე ზრდის პროცესი მესაჭიროება, ამიტომ მირჩევნია, კლუბით დავიწყო“.

ზურაბ გოცირიძე

მარადონამ ფანებს საქციელი დაუწუნა

დიეგო მარადონამ თავის მშობლიურ კლუბ „ბოკა ხუნიორსის“ ინჩადა გააკრიტიკა. არგენტინის ჩემპიონატის მეექვსე ტურში „ბოკამ“ „არგენტინოს ხუნიორსს“ 1:0 მოუგო და ფრიად მძიმე შთაბეჭდილება დატოვა, რის გამოც ფანებმა გუნდის მწვრთნელ ალფიო ბასილეს გადადგომა მოითხოვეს.

„ტურნირი ჯერ ხეირიანად არც გახურებულა და ესენი უკვე დამრიგებლის შეცვლას მოითხოვენ. საერთოდაც რომ წაგვეგო თამაში „არგენტინოსთან“ რა, ბასილე მაშინვე უნდა ჩაგვექოლა? დავიცადოთ ერთი-ორი ტური და თუ „ბოკას“ თამაში არ გაუმჯობესდა „ლა ბონბონერადან“ ალფიო ბასილე და მარადონა ერთად წავლენ“ — განაცხადა დიეგომ, რომელიც ამჟამად „ბოკა ხუნიორსის“ ვიცე-პრეზიდენტია.

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას ყველაზე მეტად ინჩასთა მიერ ტრიბუნაზე არგენტინული „სან ლორენსოს“ მწვრთნელის, გუსტავო ალფაროს წამახალისებელი პლაკატის გამოფენა ეწყინა — გმადლობთ, ალფარო, მთელ ქვეყანას რომ აჩვენე ნამდვილი გუნდი უბრალო შემადგენლობისგან რითი განსხვავდებაო — ეწერა „ბოკას“ გულშემატკივრების „**BANDERA**“-ზე („სან ლორენსო“ ახლა აპერტურას ლიდერია).

„ცოტა ხანში გუსტავო ალფარო და მისი გუნდი ბევრს არაფის ემსახურება, „ბოკა“ და ბასილე კი დიდ წარმატებებს მიაღწევენ. მე თუ მკითხავთ, ის კაცი, რომელმაც „ბონბონერაზე“ მსგავსი პლაკატი გამოფინა, მეორეჯერ სტადიონზე აღარ უნდა მოვიდეს. მან თავისი საქციელით გუნდს უღალატა“ — თქვა დიეგო არმანდომ.

ლადო ხომერიკი

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი I ტური

A ჯგუფი

ბრიუგე 1:2 იუვენტუსი

0:1 ნედვედი (66), 0:2 ტრეზეგე (75), 1:2 მატონდო (85)

ბრიუგე: სტიინენი, შპილარი, დე კოკი, მაერნესი, ვალგაერენი (ოლივეირა 74), ვანაუდენაერდე, მატონდო, ვერმანტი (ლეკო 84), ენგლებერტი, ბალაბანი, პორტილიო (ბლონდელი 52)

მწვრთნელი: იან კულემანსი

იუვენტუსი: აბიატი, კოვაჩი, ბლაზი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი (ჯანიკედა 88), ემერსონი, ვიეირა, ნედვედი, ტრეზეგე (ზალაიეტა 88), იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ვიეირა, კოვაჩი, ნედვედი, ვიეირა

გაძევება: ვიეირა (89)

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

27 886 მაყურებელი

იუვეს რა ენაღვლება

ვენაში ძელები და გულები დასკდა



ბრიუგე — იუვენტუსი 1:2. მაურო ხერმან კამორანეზი (მარცხნივ) დავიდ ტრეზეგეს გოლს ულოცავს

ტურინელებმა კარგა ბლომად მომენტები შექმნეს „ბრიუგეს" კართან, გამარჯვება კი პაველ ნედვედის ზუსტმა საჯარიმო დარტყმამ და დავიდ ტრეზეგეს ეფექტურად გასროლილმა გოლმა მოუტანა. „იუვენტუსს" ვერც პატრიკ ვიეირას გაძევებამ დააკლო რამე და ვერც ჟანვონ იული-მატონდოს ბოლოსკენ გაქვითულმა ერთმა საპასუხომ.

შავ-თეთრებმა თავიდანვე გაიწიეს მეტოქის კარისკენ ბედის საძიებლად. ჯერ იყო და, ნედვედის დარტყმული იოტისოდენად ასცდა კარს, მერე ჩეხისავე დარტყმული ნახტომში მოიგერია მეკარე სტეიინ სტიინენმა, ვინაც სადებიუტო მატჩს ატარებდა ჩემპიონთა ლიგაში. მალევე ბელგიელთა მეკარის ჩაუქობა ტრეზეგემაც შეამოწმა ახლო მანძილიდან, რის მერეც ვიეირას ჯერიც დადგა — „იუვეს" სუპერახალწვეულის დარტყმულს მცველები გადაეღობნენ.

საწყის ოცწუთიან მონაკვეთში მასპინძლები ოდენ ოლივიე დე კოკის სახიფათო თავურს გამორჩნენ, კუთხურს რომ მოჰყვა.

თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე კრისტიან აბიატიმ ლამის გოლი აჩუქა ბრიუგელებს. „მილანის" ყოფილი მეკარე უხეიროდ წავიდა ბურთზე და მასპინძელთა ექსრეალელ ხავიერ პორტილიოს საუკეთესო შანსი მიეცა — ამაოდ.

ამ მომენტს ტურინელებმა ტრეზეგეს სამი იერიშით უპასუხეს, რომელთაგან პირველი ოდნავ ასცდა კარს, მომდევნო ორი კი მეკარის ნადავლი გახდა.

მეორე ტაიმში ტრიბუნებს გამოცოცხლება დაეტყო, რაკილა „ბრიუგე" უკეთ ათამაშდა და აბიატისაც ხტომა მოუხდა, მაგრამ ბედის მუხთლობით, ნედვედმა სწორედ ამ დროს გაიტანა. როგორც თავში მოგახსენეთ, ნედვედმა საჯარიმოთი გაიტანა, რომელიც ზლატან იბრაჰიმოვიჩის წაქცევისთვის დაინიშნა.

უნდა ითქვას, რომ მასპინძლებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, თუმცა მომდევნო გოლი ისევ მათ კარში გავიდა. მაურო კამორანეზიმ ლამის ნახევარი მოედანი გაირბინა ბურთიანად და ტრეზეგე ელეგანტური პასით შეატოვა მეკარეს. ფრანგმა ბომბარდირმა კი თავზემოთ გადაუგდო ბურთი სტიინენს და თავისიანთა უპირატესობა გაამყარა.

საბოლოოდ, „იუვენტუსი" დამსახურებულად მოპოვებული სამი ქულით დაბრუნდა ტურინში.

რაპიდი 0:1 ბაიერნი

0:1 გერერო (60)

ვალახოვიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (82)

რაპიდი: პეიერი, დობერი, ვალახოვიჩი, ბეიბლი, ადამსკი, ჰოფმანი, ჰლინკა, კორსოში (მარტინესი 65), ივანშიტცი (დოლინგერი 84), კინსლი, ლოური (აკაგუნდესი74)

მწვრთნელი: ვერნენ კუნი

ბაიერნი: კანი, ლუსიო, ისმაელი, სანიოლი, ლიზარაზუ (დემიკელისი 52), შვაინშტაიგერი (დაისლერი 83), ჰარგრივსი, შოლი, ზე რობერტო, პიზარო (გერერო 52), მაკაი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ჰარგრივსი, დობერი სანიოლი, ბეიბლი, გერერო

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

47 800 მაყურებელი

ნამატჩევს პრესკონფერენციაზე ფელიქს მაგათმა თქვა, პრობლემები კი გვქონდა, მაგრამ მოვიგეთ და მთავარი ეგ არისო.

მთავარი, რა თქმა უნდა, შედეგია, ოღონდ ავსტრიელების საოცარ უიღბლობაზეც ვთქვათ: ოლივერ კანის კარის ხარიხა ორჯერ შეაზანზარა ვენელთა დარტყმულმა ბურთმა, იოზეფ ვალახოვიჩმა კი პენალტი გააფუჭა. ამას დავუმატოთ, რომ „ბაიერნიც" მაინცდამაინც არ იკლავადა თავს შეტევით...

თამაშს წუთიერი დუმილი უძღოდა, იმ დღეს გარდაცვლილი ტონი ფრიცშის საპატივცემულოდ. ის 60 წლისა აღესრულა გულის შეტევით, თავის დროზე კი ავსტრიის ნაკრების ფეხბურთელი იყო და „ტონი უემბლის" ეძახდნენ, რაკი „უემბლიზე" ორი გოლი ჰქონდა გატანილი ინგლისელთათვის.

პირველ ტაიმში სტუმრებს ორი კარიგი მომენტი ჰქონდათ: ჯერ ტრავმამოშუშებულ როი მაკაის, მერე კი კლაუდიო პიზაროს. ამ ორ მომენტს ავსტრიელებმა სამით უპასუხეს და სამივე უაღრესად სახიფათო გახლდათ.

კარგი მომენტები შესვენების მერეც ბლომად შეიქმნა. რაპიდელთა ხარიხებზე უკვე მოგახსენეთ და ბაიერნელთა გოლი აღვწეროთ: ლუსიომ ფლანგიდან მაკაის მისამართით ჩაჰკიდა, რომლის თავურიც მეკარემ მოიგერია, შეცვლაზე შესულმა გერერომ კი დამატებაზე გაიტანა.

ამ გოლმა მასპინძლები თითქოს გატეხა და წაგებასაც შეაგუა, როცა საჩუქარი მიიღეს — ლუსიომ საჯარიმოში იუხეშა და პენალტი დაინიშნა. ბურთთან იოზეფ ვალახოვიჩი მივიდა და უმალ მატჩის ანტიგმირად იქცა — მისი დარტყმული კარს აცდა.

კოტე კეკელია

B ჯგუფი

არსენალი 2:1 თუნი

1:0 ჟილბერტო (51), 1:1 ფერეირა (53), 2:1 ბერხკამპი (90)

არსენალი: ალმუნია, ტურე, ლორენი, კემპბელი, კოული, ჟილბერტო, ფაბრეგასი (ბერხკამპი 73), ლიუნგბერგი (ჰლები 81), პირესი, ვან პერსი, რეიესი (აბეი 81)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

თუნი: იაკუპოვიჩი, ორმანი, ჰოზიჩი, მილიჩევიჩი, გონსალვეში, გერბერი (ლეანდრო 73), ბერნარდი, ადრიანო (დე სოუზა 57), აიგერტერი, ფერეირა, ლუსტრინელი (ფეიე 87)

მწვრთნელი: ურს შიონბერგერი

გაფრთხილება: ტურე, ჰოზიჩი, გონსალვეში, ფერეირა

გაძევება: ვან პერსი (45)

მსაჯი: გრეგორჟ გილევსკი (პოლონეთი)

34 498 მაყურებელი

ფეხბურთი კარატეს ილეთებით

არსენალი — თუნი 2:1. „მეთოფეები" ბოლო წამს მოპოვებულ გამარჯვებას ზეიმობენ

„არსენალმა" „თუნს" რომ მოუგო, საკვირველი არაა, მაგრამ საკვირველი ნელსონ ფერეირას გოლი იყო. საჯარიმოს კუთხიდან, კარისკენ თითქმის ზურგით მდგარმა ბურთს ფეხი ამოჰკრა და ალმუნიასგან მარცხენა მაღალ კუთხეში ჩაასრიალა.

არ არის ანრი, არ არის „არსენალი". ლონდონელ „მეთოფეებს" ფრანგი მეგოლის გარეშე კიდევ ერთი თვე მოუწევთ ასე წვალება, როგორც „თუნთან" იწვალეს.

„ჰაიბერიზე" შეკრებილნი შვეიცარიულ გუნდთან იოლ გამარჯვებას ელოდნენ, რაკი მეტოქე თვალში ეპატარავებოდათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „თუნი" ადვილად გადასახვევი არ ყოფილა.

„არსენალი" გაშმაგებული უტევდა. ფრედი ლიუნგბერგმა ბურთსჩახუტებული მეკარე იაკუპოვიჩი ფეხებით კარში შეაცურა, ისე ძალიან სურდა გოლის გატანა, მაგრამ მსაჯმა შვედს აუხსნა, რომ ფეხბურთი კარატე არაა.

ტაიმის მიწურულს, როცა „ჰაიბერი" გოლის მოლოდინში ხელებს იფშვნეტდა, რობინ ვან პერსის ფეხისგულები მოეფხანა და თუნელ ალენ ორმანს მავაში-გერი გაუჭიმა. ბურთისთვის ამხტარმა ვან პერსიმ მეტოქე ფეხბურთელს სახეზე ქაცვების ნაკვალევი დაუტოვა. მსაჯმა გილევსკიმ ლიუნგბერგს კი აპატია კარატეს ილეთი, მაგრამ ჰოლანდიელ ფორვარდს წითელი ბარათი უჩვენა და გააძევა.

არსენ ვენგერს ერთი თავდამსხმელი — რეიესიღა დარჩა, რის გამოც „არსენალის" შეტევის ხაზი დაუჩლუნგდა. მეგოლეობა ჟილბერტომ იკისრა. მეორე ტაიმის დასაწყისში ბრაზილიელმა მცველმა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთს საგოლედ უთავაზა და ანგარიში გახსნა. ბრაზილიელს ისე გაუხარდა, თითქოს ჩემპიონთა თასის ფინალში გაეტანოს.

ნელსონ ფერეირას საოცრად ლამაზმა გოლმა „არსენალის" ფანებს ორ წუთში მოაკეტინა. ათკაცა „მეთოფეები" მეტოქის საჯარიმოს მიაწყდნენ და „დაცხრილეს", მაგრამ დენის ბერხკამპის შესვლამდე იაკუპოვიჩს ვერ გაუტანეს. თამაშის დასრულებამდე წამებით ადრე ბერხკამპმა ქომაგები სკამიდან წამოყარა. 36 წლის ჰოლანდიელმა მცველს ბურთი გამოჰგლიჯა და მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეასრიალა.

„არსენალს" მომდევნო მატჩში „აიაქსთან" ტრავმირებული ანრი და დასჯილი ვან პერსი დააკლდება. ამიტომ ეგებ ამსტერდამში დენის ბერხკამპმა ითამაშოს, რომელიც ფრენის შიშის გამო გუნდს გასვლით ევრომატჩებში არ დაჰყვება. „ლონდონიდან" ამსტერდამამდე ავტომობილით ჩასვლას შვიდი საათი სჭირდება.

„დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ბერხკამპს ვათამაშებ. ტყუილად ხომ არ ჩავიყვან" — თქვა ვენგერმა.

სპარტა 1:1 აიაქსი

1:0 მატუსოვიჩი (66), 1:1 სნეიდერი (90)

სპარტა: ბლაჟეკი, პოსპეჩი, პედრასი, კარდლეცი, კისელი, პობორსკი, სილოკი, ფილენკა, პოლაჩეკი (დოსეკი 79), სლეპიჩკა (მატუსოვიჩი 49)

მწვრთნელი: ფრანტიშეკ სტრაკა

აიაქსი: ვონკი, გრიგერა, ტრაბელსი, მადურო, ემანუელსონი, სნეიდერი, გალაშეკი (ჰეიტინგა 90), ლინდენბერგი, როსენბერგი (ხარისტეასი 76), პიენაარი (როსალესი 81), ბაბელი

მწვრთნელი: დენი ბლინდი

გაფრთხილება: გალაშეკი

მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)

15 386 მაყურებელი

„სპარტას" უფხო თამაშით გაბრაზებულმა ჩეხმა ქომაგებმა თავიანთ გუნდს უსტვინეს. პრაღელებმა შესვენებამდე კარში მხოლოდ ორჯერ დაარტყეს, „აიაქსი" კი სნეიდერის თამადობით მასპინძელთა დაცვას აწიოკებდა.

სნაიდერმა მეხუთე წუთზევე გააქანა ბურთი კარისკენ, რომელიც ბლაჟეკმა მოიგერია. მოგერიებულს რაიან ბაბელმა მიუსწრო, მაგრამ უხეიროდ დაამატა. ამავე ფეხბურთელებს მოგვიანებით კიდევ ჰქონდათ თითო მომენტი.

ტაიმის შუაწელში მარკუს როსენბერგის შეეძლო სტუმართა დაწინაურება, თუმცა ძელთან ჩასაფრებულმა ბურთს ფეხი ვერ მიაწვდინა. შემდეგ ზდენეკ გრიგერამ ახლოდან თავით დაჰკრა და კვლავ ბლაჟეკმა იყოჩაღა.

პირველი ნახევრის ბოლოს „სპარტას" მეკარე პასისას შეცდა. ბურთი სნეიდერს მიუვიდა, რომლის დარტყმულსაც მცველმა მიუსწრო.

შესვენების მერე „აიაქსიც" მინელდა, მასპინძლებმა კი დაცვაში თამაში დაალაგეს და გოლიც გაიტანეს. მატუსოვიჩმა საჯარიმოს გარედან უძლიერესად დაჰკრა და ანგარიში გახსნა.

შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე დენი ბლინდმა გუნდს ხარისტეასი მიაშველა, მერე მას მაურო როსალესიც „დააწია" და „აიაქსის" შეტევა ისევ გაცოცხლდა, მოუსვენარმა სნეიდერმა ბოლოს მაინც „გაისროლა" საგოლედ და გაათანაბრა.

„პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, — თქვა დენი ბლინდმა ნამატჩევს — განსაკუთრებით 35-ე წუთამდე. დიდი უპირატესობა გვქონდა და ოთხი საგოლე მომენტიდან ორიც რომ გამოგვეყენებინა, ვფიქრობ, მოსაგებად საკმარისი იქნებოდა. ამას თუ გავითვალისწინებთ, ფრით უკმაყოფილო ვარ".

„აიაქსი" წაგებას არ იმსახურებდა — განაცხადა მასპინძელთა მწვრთნელმა ფრანტიშეკ სტრაკამ — ძალიან გაგვიჭირდა მათი შეტევების მოგერიება, მაგრამ დასანანია, რომ ბოლოწამს მხოლოდ ქულა შეგვრჩა".

ვაჟა ხუციშვილი

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი I ტური

C ჯგუფი

ვერდერი 0:2 ბარსელონა

0:1 დეკო (13), 0:2 რონალდინიო (77 პენ)
ვერდერი: რაინკე, ოვომოიელა, ნალდო, შულცი, პასანენი, ფრინგსი, ბაუმანი (დ. იენსენი 63), მიკუ, ბოროვსკი, კლასნიჩი, ვალდესი (შანტი 83)
მწვრთნელი: თომას შაафი
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, ბელეტი (ედმილსონი 46), ოლეგერი, მარკეში, ხავი (ვან ბომელი 79), ვან ბრონკჰორსტი, დეკო, ჟიული (მესი 66), რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი
გაფრთხილება: ოლეგერი, ვან ბომელი, მარკეში, დეკო
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
42 466 მაყურებელი

ბარსას ფიესტა და სამმაგი იაკინტა

AFP

უდინეზე — პანათინაიკოსი 3:0. ვინჩენცო იაკინტა ოთხშაბათ საღამოს შეუჩერებელი იყო

ფრანკ რაიკარდის „ბარსელონამ" საჩემპიონთალიგო C ჯგუფის პირველ შეხვედრაში ბრემენულ „ვესერშტადიონზე" იქაური „ვერდერი" 0:2 დაამარცხა. მიუხედავად იმისა, რომ ტომას შაафის შეგირდებმა ალემანური წესისამებრ ბოლომდე იბრძოლეს, სტუმართა ოსტატობამ თავისი გაიტანა და „ბარსამაც" გერმანიიდან საჭირო სამი ქულა წამოიღო. დამხვდურებს მთავარი მოიერიშე მიროსლავ კლოზე სანქციის გამო აკლდათ. შაафმა იგი პარაგვაელი ნელსონ ვალდესით შეცვალა. პირველი სახიფათო ეპიზოდები სწორედ სამხრეთამერიკელმა და შეტევაში მისმა კოლეგამ კლასნიჩმა გააჩერხეს. მატჩის მეორე წუთზე კატალონიელთა მეკარესთან ახლოს დარჩენილმა ვალდესმა ვერ ივარგა, კლასნიჩის დარტყმა კი მეორე ვალდესმა, „ბარსელონას" გოლკიპერმა უკუაგდო — ანგარიში მე-13 წუთზე გაიხსნა. რონალდინიომ ეტოოს გადააწოდა, კამერუნელმა საჯარიმოს მისადგომებთან ჩასაფრებული დეკო დროულად მოძებნა, დარტყმული ფრანკ ბაუმანს მოხვდა და რიკოშეტით გავიდა. 27-ე წუთზე გერმანელებმა გააფთრებით შეუტიეს, თუმც კლასნიჩს ვალდესის კარგი გადაცემის შემდეგ გადამწყვეტი გასროლა არ გამოუვიდა. პირველი ტაიმის მიწურულს კი იოან მიკუ, კატალონიელ ინჩასებს გული გაუხეთქა — ფრანგის დარტყმას „ბარსას" ვალდესმა უმწეოდ გაადევნა თვალი და რომ არა კარის ძელი, ბრემენელები ანგარიშში გაათანაბ-რებდნენ. ასევე ძელს დააჭედა ბურთი ბარსელმა დეკომაც, ოღონდ უკვე შესვენების შემდეგ.

მეორე ტაიმში რაიკარდმა ლუდოვიკ ჟიულის ნაცვლად მოედანზე არგენტინელს, ლეო მესის უხმო და მალე კატალონიელებმა მორიგი და, როგორც აღმოჩნდა, მატჩის საბოლოო გოლიც შეაგდეს. პატაგონიელმა ლეომ დამხვდურთა მცველები ფრიად შეაწუხა და 75-ე წუთზე მესის მოძალებით თავგაბეზრებულმა კრისტიან შულცმა ფრანკ რაიკარდის 18 წლის შეგირდი თავის საჯარიმოში მოცელა. პენალტი რონალდინიომ შეასრულა და „ვესერშტადიონის" ტაბლოზეც 0:2 აენთო.

უდინეზე 3:0 პანათინაიკოსი

1:0, 2:0, 3:0 იაკინტა (28, 73, 76)
უდინეზე: დე სანქტისი, ნატალი, ფელიპე, ფუარესი (სენსინი 86), ძენინი, ობოდო (პინსი 68), ვიდიგალი, მუნტარი, კანდელა, იაკინტა, დი ნატალე (დი მიკელე 80)
მწვრთნელი: სერსე კოსმი
პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, გუმასი, მორისი, კოციოსი, ნილსონი, ბისკანი, გონსალესი, სერიჩი, ხარალამბიდესი (გეკასი 70), ტორგელე, ვუტორი (ლენტიუ 76)
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
მსაჯი: ოლეგარიო ბენკერენსა (პორტუგალია)
23 000 მაყურებელი

14 სექტემბერს ფრიულის არენაზე გამართული ვახის მერე C ჯგუფის ლიდერობა სერსე კოსმის „უდინეზეს" ეკუთვნის. იტალიის საიმედო ნისულმა „პანათინაიკოსს" უდინელთა ვადნისტერ ვინჩენცო იაკინტასთან ერთადრი გაწყო და მასპინძლებიან 3:0 წაგე.

პირველი გოლი იაკინტამ 28-ე წუთზე გაიტანა, ძენინის პასს ვინჩენცომ იდეალური თავური დაჰკრა. ბერძნები ამ თამაშში ოდენ საკარიძოთა შესრულების დროს ვარჯიშინენ — გონსალესმა კარგად გაისროლა, თუმცა ბურთმა ოდენ მორეკს და სანქტისის კარის ძელისკენ გაიკვლია გზა. მეორე ტაიმში ელინები უფრო მეტს უტევდნენ, მაგრამ „უდინეზემ" კონტრიერიშებით უპასუხა და მორიგი გოლის ავტორიც იაკინტა გახდა — 73-ე წუთზე ვინჩენცომ გალინოვიჩი მოატყუა და ბურთიანად ცარიელ კარში შეასრინა. რამდენიმე წუთის მერე ისევ იაკინტამ იგარგა და დაღონებულმა გალინოვიჩმა ბადიდან მორიგი ბურთი გამოიღო.

ლადო ხომერიკი

D ჯგუფი

ვილიარეალი 0:0 მანჩესტერი

ვილიარეალი: ვიერა, კრომკამპი, როდრიგესი, ექტორ ფონტი (როჯერი 70), ალვარესი, არუაბარენა, ხოსიკო (ტაკინარდი 46), სენა, სორინი, ფორლანი, გიარე (ფიგუეროა 66)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ფერდინანდი, ოში, სილვესტრი, ჰაინცე (რიჩარდსონი 33), ფლეტჩერი, რონალდო (გიგზი 80), სქოულზი, სმიტი, რუნი, ვან ნისტელროოი (პარკი 80)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: კრომკამპი, როდრიგესი, რიჩარდსონი, სმიტი, რუნი, რუნი
გაძევება: რუნი (65)
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
22 000 მაყურებელი

ღირსეული დებიუტი და დაბრუნება

AFP

ვილიარეალი — მანჩესტერი 0:0. ყოფილმა თანაგუნდელებმა რიო ფერდინანდმა (მარცხნივ) და დიეგო ფორლანმა ერთმანეთი არ დაინდეს

„ვილიარეალის" დებიუტი ჩემპიონთა ლიგაში აშკარად წარმატებული გამოდგა. „ელ მადრიგალის" ბინადრებმა მრისხანე მეტოქესთან ქულა მოიპოვეს. უფრო სწორად, ქულა „მანჩესტერმა" მოიპოვა, ესპანელებს კი გამარჯვების გოლის გატანის რამდენიმე შანსი ჰქონდათ და ეს ყველაფერი გუნდის ლიდერ ხუან რომან რიკელმეს გარეშე მოახერხეს, რომელსაც ისევ ტრავმა აწუხ-ებს და მანუელ პელეგრინიმ მისი მინდორზე გაყვანა არ გარისკა.

მატჩი გახსნილი ნამდვილად არ გამოდგა, მაგრამ სახიფათო მომენტებიც მრავლად იყო და ორმხრივი იერიშებითაც დაიწყო. ინგლისელები უფრო იშვიათად, მაგრამ სახიფათოდ უტევდნენ. შეხვედრის დებიუტში „ვილიას" ურუგვაელ კარის დარაჯ სებასტიან ვიერას ორჯერ მოუხდა ოსტატობის გამოვლენა. მან ჯერ კრისტიანო რონალდოს დაასწრო, შემდეგ კი მიკაელ სილვესტრის თავური დარტყმა უკუაგდო. ამას რუუდ ვან ნისტელროის ასევე სახიფათო თავური მოჰყვა და აქ უკვე ვიერა უძლური იყო, მაგრამ გონსალო როდრიგესმა როგორადაც შეძლო და აკრობატულ ნახტომში ბურთი კარის ბაზიდან გამოიტანა.

სადებიუტო ნერვიულობის შემდეგ მასპინძლები დამშვიდნენ და ჩვეულ სტილში ათამაშდნენ. პირველი აშკარა საგოლე მომენტი „წითელი ეშმაკების" კარ.თან მშვენიერი კომბინაციის შედეგად შეიქმნა. ანტონიო გიარემ ჭკვიანურად უპასა ხუან პაბლო სორინს, რომელმაც ელეგანტურად, ქუსლით როდოლფო არუაბარენა მონახა, ამ უკანასკნელმა ტემპი არ დააგდო და ბურთი ერთი შეხებით გაგზავნა „მანჩესტერის" კარში, მაგრამ ედვინ ვან დერ სარმა ბრწყინვალე ნახტომში გადაარჩინა თავისი გუნდი.

თავისი ყოფილი გუნდის გამწარება შეეძლო. დიეგო ფორლანსაც, მაგრამ სორინის პასისა და ურუგვაელის ლამაზი მოჭრილი დარტყმის მერე ბურთი მანკუნიანელთა ძელს მოხვდა. ცოტა ხანში კი ხიფათი ისევ საპირისპირო კართან შეიქმნა. ვან ნისტელროიმ კიდევ ერთხელ გამოცადა ვიერა, რომელიც ამჯერადაც მონოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

65-ე წუთზე ტრადიციულად მოუსვენარმა და ზედმეტად ემოციურმა უეინ რუნიმ წითელი ბარათი „გაიჩალიჩა". იგი ჯერ კიკე ალვარესს ეუხეშა, ხოლო როდესაც კიმ მილტონ ნილსენმა ყვითელი ამოუღო, ტაში ცინიკურად დაუკრა და...

დარჩენილ დროში „მანჩესტერს" ერთიორად გაუჭირდა. რიო ფერდინანდმა ერთ ეპიზოდში ბურთი საკუთარ კარშიც კი გაგზავნა, მაგრამ სტუმრები ხარიხამ იხსნა. საბოლოოდ საბრძოლო ფრე ანუ მეტნაკლებად მისაღები შედეგი ორივე კლუბისთვის.

„ჩინებული მატჩი იყო, თუმც ჩემს ბიჭებს უკეთაც შეეძლოთ თამაში. ერთი სიტყვით, ღირსეული დებიუტი გვქონდა" — აღნიშნა „ვილიას" თავკაცმა მანუელ პელეგრინიმ.

სერ ალექს ფერგიუსონმა კი ასეთი კომენტარი გააკეთა: „ედვინ ვან დერ სარმა ბრწყინვალედ ითამაშა. ამ სეზონში იმას უკვე ბევრჯერ დაგვეხმარა. „ვილიარეალს" ჩვენთვის სერიოზული პრობლემები არ შეუქმნია. პირველ ტაიმში ბევრად უკეთ გამოვიყურებოდით, ხოლო მეორე ნახევარში სასურველი შედეგის მისაღწევად საკმარისი გავაკეთეთ. სახიფათო მომენტებიც ცოტა არ გვქონია, მაგრამ მეტოქემ ამ მხრივ გვაჯობა. რაც შეეხება რუნის, იგი ჯერ ახალგაზრდაა და უნდა ვეცადოთ, სათანადოდ აღვზარდოთ".

ბენფიკა 1:0 ლილი

1:0 მიკოლი (90)
ბენფიკა: მორეირა, როკა (ანდერსონი 46), ლუიზაო, პეტი (კარაგუნისი 67), ფერნანდესი, ლეო, ჟოვანი (მანტორასი 80), ფერნანდესი, სიმაო, მიკოლი, ნუნო გომეში
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
ლილი: სილვა, პლესტანი, შალმე, შმიტცი, ტაფარო, გიგაქსი (დებოუში 46), მაკუნი, ბოდმერი, კაბეი, დერნისი (ლიხშტაინერი 84), მუსილუ (ოდემვინგი 71)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
გაფრთხილება: გიგაქსი, პლესტანი, შალმე, როკა
მსაჯი: რენე ტემნიკი (ჰოლანდია)
38 000 მაყურებელი

ჩემპიონთა თასის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ტიტულიანი კლუბი ლისაბონის „ბენფიკა" შეიდწლიანი პაუზის მერე ტურნირს გამარჯვებით დაუბრუნდა. რონალდ კუმანის შეგირდები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ სანუკვარი გოლი მეორე დამატებულ წუთხელა გაიტანეს. „იუვენტუსიდან" ორი კვირის ნაყიდმა ტანმორჩილმა ფაბრიციო მიკოლიმ თავური დარტყმით მიაღწია მიზანს.

საერთოდ პორტუგალიელთა შეტევების სულისჩამდგმელი სწორედ მიკოლი იყო. მან ხარიხასაც გაარტყა, პასებიც არიგა, მომენტების გაანიავა, მაგრამ საბოლოოდ მიზანს მაინც მიაღწია.

ფრანგებზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ უქმად ნამდვილად არ მჯდარან და სულ ცოტა, სამი კარგი შანსი ჰქონდათ. ხოლო მათი გამოცდილი გოლკიპერი ტონი სილვა კვლავ ბრწყინვალედ ირჯებოდა და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „ბენფიკამ" მეტი გოლი ვერ შეაგდო.

ბექა ცაგარეიშვილი

ბედნიერების მოლოდინში

ქანცგასაწვეტი ბრძოლა სამეულთან და შვიდეულთან

ჩემპიონთა ლიგა მოგვწონს, ვუცქერთ, ვაფასებთ... და ერთი წუთით არ დავფიქრდებით, როგორი იქნებოდა ეს შეჯიბრება მისი ფავორიტი გუნდებიდან რომელიმეს მწვრთნელი ფაბიო კაპელო რომ არ იყოს. ან, მოდი, აზრი სხვანაირად ჩამოვაყალიბოთ: როგორი იქნებოდა ჩემპიონთა ლიგა ფაბიო კაპელოს გარეშე? ან, კიდევ სხვანაირად: შეიძლება კი კაპელო რომელიმე გუნდის მწვრთნელი იყოს და ის გუნდი ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი ფავორიტთაგანი არ იყოს? და პლუს, თუ ეს გუნდი ისედაც „იუვენტუსია"? დღეს ფაბიო კაპელო 59 წლისაა, ხოლო მაშინ, როდესაც „მილანი" ზედიზედ სამჯერ გაიყვანა ლიგის პირველ სამ ფინალში, ორმოცს ცოტათი გახლდათ გადაცილებული. ამ სამ ფინალს შორის იყო 1993-94 წლების გათამაშების სრულიად ლეგენდარული შეხვედრა იოჰან კრუიფის „ბარსელონასთან", რომელშიც რომარიო და ხრისტო სტოიჩკოვი ბრწყინავდნენ. იმ მატჩში კაპელომ უდიადესი მოწინააღმდეგე მოედნიდან უბრალოდ გააქრო, ხოლო მატჩის შემდეგ ტაბლოზე 4:0 ენთო



შემდეგ, კაპელოს ხელმძღვანელობით „რომა" გამოვიდა ჩემპიონთა ლიგის რამდენიმე გათამაშებაში და მართალია შედეგის მხრივ ციდან ვარსკვლავები ვერ მოწყვიტა, რამდენიმე სანახაობა ნამდვილად შემატა შეჯიბრების ისტორიას. თან, ბუნებრივია, რა გინდა რა მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იყო.

გასულ სეზონში კაპელოს „იუვენტუსი" შეოთხედფინალში ჩემპიონთა თასის მომავალმა მფლობელმა, „ლივერპულმა" დაამარცხა. ამ ორმატჩიან დაპირისპირებაში ინგლისურმა გუნდმა პირწმინდად და ყველა პარამეტრით აჯობა „ბებერ ქალბატონს", მაგრამ კაპელოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამან მისი ფეხბურთელები ვერ წაახდინა, მათ მშვიდად განაგრძეს ლაშქრობა იტალიურ ტიტულზე და მოინადირეს კიდეც იგი. ასე და ამგვარად, ფაბიო კაპელოს „სკუდეტო" მოგებული აქვს უკლებლივ ყველა იტალიურ გუნდთან ერთად რომელსაც კი სათავეში ედგა.

— რა მიზნები გაქვთ ამ სეზონში?

— უპირველესად ასე გიპასუხებთ: ჩვენი ყველა შეჯიბრებაში კარგად გამოსვლა გვინდა, მაგრამ უპირატესობას ჩემპიონთა ლიგას ვანიჭებთ. შემდეგ იტალიის პირველობაა მნიშვნელოვანი, ხოლო მესამედ იტალიის თასი გვიღირს. ამისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ბედმა გაგვიღიმოს და ტრავმები აგვაცილოს თავიდან. მაღალ დონეს და კონკურენტუნარიანობას სხვანაირად ვერ შევინარჩუნებთ.

— როგორ უნდა ათამაშოთ „იუვე" წლეულს?

— მინდოდა გარემარბი შეგვეძინა. ფროა მოედნის ის ნაწილია, საიდანაც ბევრი სასიკეთოს და საინტერესოს მოფიქრება შეიძლება, მაგრამ მეორე მხრივ, მხოლოდ სიახლის ხათრით რაიმეს შეცვლა სწორი არ არის. ისედაც საუცხოო ფეხბურთელები მყავს. ყველაზე დიდ პრობლემად, ამ წუთას, ჯიჯი ბუფონის სამთვიანი ტრავმა მიმაჩნია.

— „იუვეს" მთავარი მეტოქეები ჩამოგვითვალეთ.

— სამი იტალიური გუნდი, პლუს „რეალი", „ბარსელონა", „ჩელსი", „მანჩესტურ იუნაიტედი" და „ბაიერნი". მადრიდელებს ახალი გუნდის აწყობა ახალი შენაძენის, ნამდვილი ვარსკვლავის, რობინიოს გარშემო შეუძლიათ, თუმცა ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა ჯამში მაინც შვიდ მონაწილეს შეუძლია.

